საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 6738/01
16/07/2020

6738-01-2-202007161415

შპს ,,ალფას" დირექტორს
ბატონ ოთარ იველაშვილს
მის: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. გამარჯვება

ბატონო ოთარ,

სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 7 ივლისის N10243 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვებაში, შპს „ალფას" მეორადი ზეთის გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ შპს ,,ალფას" და შპს „ბიდის" დირექტორების ერთობლივი განცხადების საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 10 ივლისის N2-604 ბრძანების შესაბამისად, „გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვებაში შპს „ალფას" მეორადი ზეთის გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის №2-73 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „ბიდის" (ბრძანება N 2-604 10/07/2020).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს შპს ,,ალფას" მიერ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება. გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი შპს „ბიდი", უზრუნველყოფს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" დადგენილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენას.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044